

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს  
2011 წლის 10 ივნისის  
დადგენილება № 469

სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 მაისის № 456  
დადგენილებაში, რომელიც ეხება სტუ-ს საგანმანათლებლო  
პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსს, ცვლილებების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – "უნივერსიტეტი") დოქტორანტურის, მაგისტრატურის, ბაკალავრიატის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - "პროგრამა") ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსსა და ხარისხზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უძღვება პროგრამის შემუშავების, დახვეწის და განახლების პროცესებს;

უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან; პროგრამით გათვალისწინებული საგნების შესაბამისობას პროგრამის დარგობრივი სტანდარტის შინაარსსა და მიზნებთან; პროგრამაში არსებულ სხვადასხვა საგნის შინაარსობრივი გადაფარვის მინიმუმზაციას;

2. პროგრამულ მოდულს ენიშნება ხელმძღვანელი, რომელიც:

- ა) პასუხს აგებს მოდულის შინაარსსა და შესრულების ხარისხზე; იძლევა რეკომენდაციებს პროგრამის განსახორციელებლად პერსონალზე აკადემიური დატვირთვის განაწილების შესახებ, ასევე საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის სათანადო ორგანოების წინაშე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის სხვა სტრუქტურული ერთეულიდან ან უნივერსიტეტის გარედან მოწვევასთან დაკავშირებით;
- ბ) მონაწილეობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორიები, სალექციო აუდიტორიები, სახელმძღვანელოები და ა.შ.) და პროგრამის (ან მისი რომელიმე კომპონენტის) ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფაში;
- გ) თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, დარგის საწარმოებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან დროის მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის დახვეწა-განახლების მიზნით.

3. პროგრამის ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს პროგრამული მოდულის ხელმძღვანელი. პროგრამული მოდულის ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული თანამდებობის პირი ან რომელიმე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. ერთი და იგივე პიროვნება არ შეიძლება ერთდროულად იყოს ერთზე მეტი მოდულის ხელმძღვანელი.

4. პროგრამის და პროგრამული მოდულის ხელმძღვანელის სტატუსი, როგორც წესი, შეიძლება მიენიჭოს უნივერსიტეტის სათანადო კომპეტენციის მქონე სრულ პროფესორს (მათ შორის მოწვეულს).

5. პროგრამისა და პროგრამული მოდულის ხელმძღვანელის სტატუსის მინიჭება და პროგრამის სტრუქტურის დამტკიცება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ამავე საბჭოში ფაკულტეტის წარმომადგენლის/წარმომადგენელთა წარდგინების საფუძველზე.

6. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია შეაფასოს პროგრამისა და პროგრამული მოდულის ხელმძღვანელის ანგარიში და გაწეული საქმიანობის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში შეუწყვიტოს მას ხელმძღვანელის სტატუსი.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე  
აკადემიური საბჭოს მდივანი

ა. ფრანგიშვილი  
გ. სალუქვაძე